



სენსორული პრობლემების კვლევა აუტისტური სპექტრის აშლილობის  
მქონე ბავშვებში

თამარ ბიწაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

*ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა*

*სამეცნიეროხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

სენსორული დარღვევები აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისათვის (ასა) ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ ასა-ს მქონე ბავშვების სენსორული პროფილების კვლევა, დარღვეული სენსორული არხების განსაზღვრა და იმის შემოწმებაა, არის თუ არა განსხვავება ტიპური განვითარებისა და ასა-ს მქონე ბავშვების სენსორულ ზღურბლებს შორის.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის წმ. გიორგის სახელობის აუტიზმის ცენტრის 3-10 წლის ასაკის 18-მა ბავშვმა, რომელთაც აქვთ აუტისტური სპექტრის დიაგნოზი და ასევე ტიპური განვითარების იგივე ასაკის 20-მა ბავშვმა.

სენსორული პროფილების შედგენისა და დარღვეული სენსორული არხების შესამოწმებლად გამოვიყენე ვინი დანის ( Winnie Dunn ) სენსორული პროფილის საკვლევი ტესტი.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ასა-ს მქონე 18 ბავშვიდან 16-ს მინიმუმ ერთ სენსორულ არხში მაინც აღმოაჩნდა დარღვევა . აუდიალურ, ვიზუალურ და აქტიურობის დონეში სენსორული პრობლემები გამოუვლინდა 7 ბავშვს, ყნოსვა/გემოვნებაში ბავშვების ნახევარს, სხეულის პოზასა და შეხების კომპონენტში- 8 ცდისპირს, მოძრაობაში- 5 მათგანს, ხოლო გარემოსთან მიმართებაში- 6-ს.

ასა-ს მქონე ბავშვებისა და ტიპური განვითარების ცდისპირთა საშუალო მაჩვენებლების შედარებამ აჩვენა, რომ რვავე სენსორულ არხში ასა-ს მქონე ბავშვების სენსორული ზღურბლის საშუალო მაჩვენებელი აჭარბებს ტიპური განვითარების ბავშვების საშუალოს. თუმცა რვიდან მხოლოდ 6 მათგანში ჩაითვალა მიღებული მონაცემები სანდოდ.

რაც შეეხება დარღვეული სენსორული არხების რაოდენობასა და ძილის პრობლემების მიმართებას, კვლევამ აჩვენა, რომ თუ დარღვეული არხების რაოდენობა მცირეა, ეს შეიძლება ზოგჯერ იწვევდეს ძილის პრობლემებს და ზოგ შემთხვევაში- არა.მაგრამ, როდესაც უკვე ტრავმირებული არხების რაოდენობა აღემატება 5-ს, ყველა შემთხვევაში სენსორულ პრობლემებთან ერთად ასა-ს მქონე ბავშვებს გამოუვლინდათ ძილის დარღვევაც.

შესაძლოა, გარკვეული შედეგების განზოგადება დაუშვებელია, თუმცა ვთვლი, რომ ეს კვლევა შესაძლოა აღმოჩნდეს კარგი წინაპირობა ამ მიმართულებით სხვა კვლევების დაგეგმვისათვის.